დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 დეკემბრის N13 სხდომის ოქმით

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი

1. მოქმედების სფერო

ეს სტანდარტი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურის ფუნქციონირებისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ ზოგად მოთხოვნებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.

2. სამაგისტრო საფეხურის მიზანი

2.1. მაგისტრატურა არის უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხური, რომელიც ორიენტირებულია სათანადო (მათ შორის - სამეცნიერო კვლევის) უნარების გამომუშავებასა და შესაბამისი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნის დაუფლებაზე, ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით ან/და დოქტორანტურაში სწავლისათვის;

2.2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურისმიზანია, მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, შეცვალოს სპეციალობა[1], მოახდინოს მის მიერ არჩეულ სფეროში ცოდნის სპეციალიზირება და გამოუმუშაოს მას სამეცნიერო კვლევის ჩვევები. ის იძლევა სამეცნიერო კვლევითი მუშაობის, შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების, პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას.

3. სამაგისტრო საფეხურზე მიღება

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

4. სამაგისტრო საფეხურზე მიღების პირობები

4.1. სამაგისტრო საფეხურზე ჩარიცხვისთვის აუცილებელია:

ა) საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;

ბ) ფაკულტეტის/სკოლის მიერ დადგენილი ჩარიცხვის სხვა შესაძლო კომპონენტების შესაბამისობა, მათ შორის - შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული საუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

4.2. ფაკულტეტი/სკოლა ვალდებულია:

ა) წინასწარ და სრულად გამოაქვეყნოს ჩარიცხვისა და საუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების რანჟირების წესი და პირობები;

[1] დარგის სპეციფიკის გათვალსიწინებით, რეგულირებადი სამაგისტრო პროგრამა შეიძლება წარმოაგენდეს გამონაკლისს. გამონაკლისს ასევე შეიძლება წარდმოადგენდეს პროგრამა, რომლის შესაბამის დარგობრივ მახასიათებელში დაზუსტებულია მიღების პირობები.

ბ) შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების თარიღამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე გამოაქვეყნოს მაგისტრანტობის კანდიდატის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები;
გ) აამოქმედოს აპელირების გამჭვირვალე სისტემა.

4.3. ფაკულტეტს/სკოლას ან ცალკეულ სამაგისტრო პროგრამას შეიძლება ჰქონდეს დამატებითი მოთხოვნები;

4.4. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სწავლის მაგისტრატურაში გასაგრძელებლად მაგისტრანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

4.5. მაგისტრანტობის კანდიდატთა ხელშეწყობისა და სტუდენტთა მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 521 მუხლის მე-7 და მე 71 პუნქტებით გათვალისწინებული პირებისათვის;

4.6. შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამაზე შესაძლებელია განისაზღვროს 4.1 პუნქტისგან განსხვევებული მიღების პირობები;

5. სამაგისტრო პროგრამა

5.1. სამაგისტრო პროგრამა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;

5.2. სამაგისტრო პროგრამის შემუშავება ხდება დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;

5.3. სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. კერძოდ, აკადემიური/სამეცნიერო (ასეთის არსებობის შემთხვევაში)/მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში) და ადმინისტრაციული პერსონალი (მათ შორის ფაკულტეტის/სკოლის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კურიკულუმის ექსპერტი) და სხვა. პროგრამის შემუშავებისას სახელმძღვანელო დოკუმენტებია: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ”, დარგობრივი მახასიათებელი (არსებობის შემთხვევაში) (www.eqe.ge), „ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭებისა და რეიტინგის განსაზღვრის წესი“, „ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭებისა და რეიტინგის განსაზღვრის წესი“, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, და გაუქმების წესი და პროცედურები“ და „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები“;

5.4. სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის დოკუმენტში მითითებულია ინფორმაცია სწავლის ხანგრძლივობის/მოცულობის (ECTS კრედიტებში), პროგრამის მიზნის, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის, სწავლის შედეგების, სწავლების ენის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, პროგრამის სტრუქტურის, სწავლების მეთოდების, შეფასების წესის, დასაქმების სფეროების, სწავლისთვის აუცილებელი რესურსების, სასწავლო/კვლევითი/პრაქტიკული კომპონენტებისა და პროგრამასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების შესახებ;

5.5. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტების (მაგ.: სასწავლო კურსები,, ბლოკები, პრაქტიკისა და კვლევითი კომპონენტები და ა.შ.) კრედიტები, საკონტაქტო საათების რაოდენობა, წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში), სემესტრი, სტატუსი და ლექტორის ვინაობა. პროგრამას ერთვის როგორც სწავლის შედეგებისა და მიზნების, ასევე სწავლის შედეგების (კომპეტენციათა) რუკა. პროგრამის კომპონენტების დეტალური აღწერა მოცემულია შესაბამის დოკუმენტებში (სილაბუსებში, კონცეფციებში და ა.შ.).

5.6. სამაგისტრო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგებში. პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს;

5.7. სამაგისტრო პროგრამის მოცულობაა არანაკლებ 120 კრედიტი (გარდა 5.8. პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევისა). მაგისტრატურაში თითოეული სემესტრის მანძილზე სტუდენტს შეუძლია დააგროვოს საშუალოდ 30 კრედიტი;

5.8. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით შეიმუშაოს სამაგისტრო პროგრამა,

რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს. ასეთ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები და კრედიტების განაწილება დგინდება ზემოთ აღნიშნული წესის შესაბამისად და შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნებისაგან;

5.9. სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებულია არჩევითობა: პროგრამის სტრუქტურა სავალდებულო კურსებთან ერთად მოიცავს არჩევით და, საჭიროების შემთხვევაში, სავალდებულო არჩევით კურსებსაც. აკადემიურ გარემოში სტუდენტის ნავიგაცია უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით „არგუსი";

5.10. სახელოვნებო-შემოქმედებითი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს სასწავლო კურსს, სახელოვნებო-შემოქმედებით კომპონენტს, აქტივობას, პროექტს, რომელიც ეფუძნება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტების შერევით სწავლებას.

5.11. დარგის/სპეციფიკის გათვალისწინებით, სამაგისტრო პროგრამაში შეიძლება იყოს გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე. კომპონენტი შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი როგორც უნივერსიტეტის, ასევე უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე. მიზანშეწონილია, კომპონენტი სრულდებოდეს სფეროს დამსაქმებლების (მაგ. ორგანიზაციების, კომპანიების და ა.შ.) აქტიური ჩართულობით. პრაქტიკული კომპონენტი შეიძლება იყოს განსაზღვრული, როგორც ცალკე ერთეული, ასევე ინტეგრირებული პროგრამის სასწავლო კურსებში. პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი, მისი ცალკე ერთეულად არსებობის შემთხვევაში, უნდა იყოს აღწერილი შესაბამის კონცეფციაში, რომელშიც სხვა საჭირო ინფორმაციასთან ერთად უნდა იყოს მითითებული:

- კომპონენტის მიზანი;
- კომპონენტის შედეგები;
- სემესტრი, რომელშიც იქნება შემოთავაზებული კომპონენტი;
- წინაპიროპა (საჭიროების შემთხვევაში)
- კომპონენტში ჩართული ორგანიზაციის/ორგანიზაციების მხარეების პასუხისმგებლობები;
- მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა;
- საათების განაწილება;
- სტუდენტების სუპერვიზიის მექანიზმი;
- სტუდენტების შეფასების სისტემა;შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები.

5.12. სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი ორიენტირებულია კვლევასთან დაკავშირებული უნარების განვითარებაზე. კვლევითი კომპონენტები შეიძლება ითვალისწინებდეს ლაბორატორიულ, საველე მუშაობის/ველის ჩატარებას, და ა.შ. კვლევითი კომპონენტი შეიძლება იყოს განსაზღვრული, როგორც ცალკე ერთეული, ასევე ინტეგრირებული პროგრამის სასწავლო კურსებში. კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო

ნაშრომი/პროექტი), როგორც პროგრამის ცალკეული ერთეულის შემთხვევაში, , უნდა იყოს შემუშავებული კონცეფცია, სადაც ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ყველა საჭირო დეტალი, მათ შორის:

- კომპონენტის მიზანი;
- კომპონენტის შედეგები;
- კომპონენტის უზრუნველყოფისთვის საჭირო და გამოყენებული რესურსები (მათ შორის ბაზები, ლაბორატორიები, სადგურები, კვლევითი ინსტიტუტი, და ა.შ.);
- მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა;
- საათების განაწილება;
- ხელმძღვანელის/რეცენზენტის არჩევის მექანიზმს;
- ხელმძღვანელის/რეცენზენტის ვალდებულებებს/მოვალეობებს;
- ინტერესტა კონფლიქტის აცილების მექანიზმს;
- შეფასების სისტემას: შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები;
- ნაშრომის წარდგენას რეცენზირებისთვის და დაცვისთვის;
- ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების მექანიზმს.

5.13. სამაგისტრო პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომით/პროექტით, რომლის მიზანია პროგრამის ფარგლებში შეძენილი კომპლექსური ცოდნის და კვლევის უნარების საფუძველზე პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. მიზანშეწონილია, კომპონენტი ითვალისწინებდეს პროგრამის პარტნიორების აქტიურ ჩართულობას. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფცია უნდა იყოს შემუშავებული პუნქტში 5. 12 განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით;

5.14. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი შეიძლება იყოს შესრულებული ინდივიდუალურად ერთი სტუდენტის მიერ ან ჯგუფურად. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ჯგუფურად ან ინდივიდუალურად შესრულება განისაზღვრება პროგრამის სპეციფიკით და აღწერილია ნაშრომის/პროექტის კონცეფციის დოკუმენტში. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

5.15. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი შესრულებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის ან კონკრეტული პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციით განსაზღვრული, დარგისთვის რელევანტური აკადემიური სტილის შესაბამისად.

6. სამაგისტრო ნაშრომის ხელმღვანელი/ხელმძღვანელები

6.1. სამაგისტრო ნაშრომისთვის/პროექტისთვის მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამოდენიმე ხელმძღვანელი, რომელიც არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ზოგად თემატიკასა და მიმართულებას;

6.2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები შეიძლება იყვნენ:

- პროგრამაში ჩართული პროფესორი/პროფესორები;
- მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში ან დარგში დოქტორის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
- შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორანტი, რომელსაც აქვს დაცული პროსპექტუსი ან სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია;
- შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი და ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზებში შემავალ ჟურნალებში პუბლიკაცია.

6.3. სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, მაგისტრანტს, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ჰყავდეს სამეცნიერო თანახელმძღვანელი, რომელიც არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი) ან გააჩნია შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ზოგად თემატიკასა და მიმართულებას;

7. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი

7.1. სამაგისტრო ნაშრომისთვის/პროექტისთვის მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამოდენიმე რეცენზენტი, რომელიც არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ზოგად თემატიკასა და მიმართულებას;

7.2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის რეცენზენტი შეიძლება იყოს:

- პროგრამაში ჩართული პროფესორი/პროფესორები;
- მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში ან დარგში დოქტორის ან მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორანტი, რომელსაც აქვს დაცული პროსპექტუსი ან სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია;
- შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი და ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზებში შემავალ ჟურნალებში პუბლიკაცია.

8. რეგულირებადი პროგრამები

რეგულირებადი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი განისაზღვრება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის XII თავის 75-ე მუხლით.

9. ინდივიდუალური პროგრამით სწავლა

სტუდენტის ინტერესების, აკადემიური მომზადებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროცესში მისი შეუფერხებლად ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლებელია შედგენილ იქნას ინდივიდუალური პროგრამა/სასწავლო გეგმა. ინდივიდუალური პროგრამის/სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს „ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭებისა და რეიტინგის განსაზღვრის წესი“ და „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების“ მე-4 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

10. მაგისტრის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება

10.1 არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვებისა (გარდა 5.8. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) და შესაბამისი სამაგიტრო პროგრამის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია – „მაგისტრი“ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ ან მეორე სვეტში მითითებულ შესაბამის სწავლის სფეროში.

10.2 სამაგისტრო საფეხურზე კონკრეტული კვალიფიკაციების ქართული და ინგლისურენოვანი დასახელებები განისაზღვრება სწავლის სფეროების მიხედვით, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-4 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად.

10.3 2019 წლის 10 აპრილამდე შემუშავებული სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებისთვის, ამ პროგრამების სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანამდე პერიოდში მაგისტრის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობაა შესაბამისი მიმართულების ან დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის არსებობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მიმართულებების დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში.